ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ბრძანება

№ 100 17 მაისი, 2018 წელი

სს "ლიბერთი ბანკის" (შემდგომში - **ბანკი**) გენერალური დირექტორის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების დელეგირების შესახებ 2010 წლის 7 ივნისის სამეთვალყურეო საბჭოს №49/55 გადაწყვეტილების შესაბამისად

ვბრძანებ:

ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილეზე, რისკების დირექტორზე მამუკა კვარაცხელიაზე (პ/ნ 01017013977) (შემდგომში - **რწმუნებული**) განხორციელდეს **ბანკის** სახელით გასაფორმებელ ხელშეკრულებებზე ან/და სხვა დოკუმენტებზე ხელმოწერის უფლებამოსილების დელეგირება შემდეგი წესების გათვალისწინებით:

1. **რწმუნებული** უფლებამოსილია **ბანკის** სახელით ხელი მოაწეროს საცალო საბანკო, პირადი საბანკო მომსახურების და კორპორატიულ საკრედიტო პროდუქტების დაკრედიტების / ოვერდრაფტების / საბანკო გარანტიების / აკრედიტივების უზრუნველსაყოფად დატვირთული საშუალებების გათავისუფლებების შესახებ ხელშეკრულებებს ან/და მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენ განცხადებს / წერილებს, საკრედიტო ხელშეკრულებასთან / საკრედიტო ლიმიტთან, მიზნობრიობის / უზრუნველყოფის საგანთან დაკავშირებით საკომუნიკაციო წერილებს.
2. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით **რწმუნებული** უფლებამოსილია ხელი მოაწეროს **ბანკის,** როგორც კრედიტორის ნებისმიერი სახის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად უფლებრივად დატვირთული უძრავ-მოძრავი ქონების ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გათავისუფლების შესახებ შეთანხმებებს / ხელშეკრულებებს / მათ შესაბამის ცვლილებებს, დაკავშირებულ საკომუნიკაციო წერილებს და სხვა დოკუმენტებს.
3. **ბრძანებით** განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში რწმუნებული უფლებამოსილია თავისზე დელეგირებული უფლება-მოვალეობები გადაანდოს სხვა პირ(ებ)ს.
4. წინამდებარე **ბრძანების** ხელმოწერის თარიღიდან გაუქმებულად ჩაითვალოს **ბანკის** გენერალური დირექტორის მიერ 2015 წლის 12 მარტს ხელმოწერილი ბრძანება N22.

წინამდებარე **ბრძანება** ძალაშია 2018 წლის 17 მაისიდან და მოქმედებს მის გაუქმებამდე.

გენერალური დირექტორი
გიორგი კალანდარიშვილი

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ბრძანება

73

03 აპრილი 2018 წელი

სს „ლიბერთი ბანკის" (შემდგომში "**ბანკი**") გენერალური დირექტორის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების დელეგირების შესახებ 2010 წლის 7 ივნისის სამეთვალყურეო საბჭოს #49/55 გადაწყვეტილების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. **ბანკის** კორპორატიული საბანკო საქმიანობის დირექტორზე (შემდგომში „**რწმუნებული**") განხორციელდეს **ბანკის** სახელით გასაფორმებელ ხელშეკრულებებზე ან/და სხვა დოკუმენტებზე ხელმოწერის უფლებამოსილების დელეგირება შემდეგი თემატიკისა და მიმართულებების გათვალისწინებით:

1.1. ნებისმიერი ტიპის საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, მათ შორის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება, მისი ნებისმიერი შემადგენელი ან/და დამატებითი ხელშეკრულება, საბანკო კრედიტის, ოვერდრაფტის, დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხის, საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ან/და ნებისმიერი სხვა საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულება;

1.2. საკრედიტო პროდუქტიდან გამომდინარე **ბანკის** მოთხოვნის უზრუნველყოფის შესაბამისი ხელშეკრულებები, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იპოთეკის, გირავნობის, პირადი თავდებობის ხელშეკრულებებს ან/და ნებისმიერი სხვა სახის უზრუნველყოფის ხელშეკრულებას, მათ შორის დეპოზიტის გირავნობისა და **ბანკის** კლიენტ(ებ)ის ან/და მესამე პირ(ებ)ის მიერ ფულადი სახსრების **ბანკის** (მათ შორის ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული **ბანკის** საკორესპონდენტო ან/და სხვა ტიპის ანგარიშ(ებ)ი) ან ნეიტრალურ ანგარიშზე განთავსებისა და მისი უზრუნველყოფის სახით გამოყენებასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას ან/და სხვა დოკუმენტს;

1.3. საბანკო გარანტიისა და დოკუმენტალური აკრედიტივით მომსახურების ხელშეკრულებები და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დანართი ან/და სხვა დოკუმენტი;

1.4. კომერციულ ბანკებთან, სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან თანამშრომლობის ფარგლებში გაფორმებული თანადაფინანსებისა და სინდიცირების ხელშეკრულებები, ასევე ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია **ბანკის** სახელით **ბანკის** კლიენტ(ებ)ისთვის ან/და მესამე პირებისთვის ფულადი სახსრების სესხის სახით გაცემასთან, მიუხედავად ასეთი დოკუმენტის სახელწოდებისა და მასში **ბანკის** თანამონაწილეობის პირობებისა. წინამდებარე პუნქტი ასევე მოიცავს ამავე პუნქტში აღნიშნულ სუბიექტებთან **ბანკის** სახელით გასაფორმებელ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებ(ებ)ს, მემორანდუმ(ებ)ს და სხვა დოკუმენტებს;

1.5. **ბანკის** სახელით სახელმწიფო ორგანოებთან, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან გასაფორმებელი ინკასაციის ხელშეკრულებები და საინკასაციო მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა წებისმიერი დოკუმენტი;

1.6. **ბანკის** კლიენტებთან ან/და მესამე პირებთან გასაფორმებელი საბანკო საოპერაციო ან/და საბანკო მომსახურების ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს კლიენტის შესაბამისი სეგმენტისთის **ბანკში** არსებულ ან/და **ბანკის** მიერ მომავალში შეთავაზებულ სრულ საბანკო მომსახურებას, მათ შორის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე სახელფასე პროგრამით მომსახურების შესახებ, ინტერნეტბანკით მომსახურების შესახებ, მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთზე სარგებლის დარიცხვის შესახებ, ანგარიშის გახსნასთან და მის მომსახურებასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს;

1.7. დეპოზიტის(ანაბრის) ხელშეკრულებები და სადეპოზიტო სერტიფიკატები;

1.8. საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული ცნობები, მათ შორის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ანგარიშზე რიცხული ნაშთის, ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ, ასევე საკრედიტო დავალიანების შესახებ;

1.9. **ბანკის** კლიენტ(ებ)ისთვის განკუთვნული საინფორმაციო წერილები და წერილობითი კორესპონდენცია, როგორც **რწმუნებულის** მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ ინიცირებული, ასევე **ბანკის** კლიენტ(ებ)ის მიერ გამოგზავნილი და **ბანკის** მიერ მიღებული შეტყობინების პასუხად

სს „ლიბერთი ბანკი" | ქავქავაძის გამზ. 74 თბილისი, 0162, საქართველო | ტელ: +995 32 2555500/05; ფაქსი: +995 32 2555509
JSC Liberty Bank | 74, Chavchavadze Ave. Tbilisi, 0162 Georgia | Tel: +995 32 2555500/05; Fax: +995 32 2555509
info@libertybank.ge | www.libertybank.ge

გაგზავნილი, მათ შორის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, საკრედიტო დავალიანების შესახებ გაფრთხილების წერილები;

1.10. **ბანკის** სოციალური პროექტების მომსახურებასთან დაკავშირებული წერილობითი კორესპონდენცია, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მის სტრუქტურაში შემავალ ნებისმიერ სააგენტოს ან/და დეპარტამენტს, სხვა ნებისმიერ სახელმწიფო უწყებას, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოში არსებულ მათ წარმომადგენლობებს, რომლებიც **ბანკთან** თანამშრომლობით სხვადასხვა სახის ბენეფიციარებს ურიცხავენ ერთჯერადი ან/და პერიოდული ხასიათის მქონე ნებისმიერი სახის ფინანსურ შემწეობას.

2. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, **რწმუნებულისთვის** რომელიმე ხელშეკრულებაზე, გარიგებაზე ან/და სხვა დოკუმენტზე ხელმოწერის უფლებამოსილების დელეგირება ასევე გულისხმობს აღნიშნული ხელშეკრულების, გარიგების ან/და სხვა დოკუმენტის ყველა დანართზე, ცვლილებაზე, შეთანხმებაზე ან/და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა დოკუმენტზე ხელმოწერის უფლებამოსილებასაც.

3. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე ბრძანებით **რწმუნებულისთვის** იჯოთეკის, გირავნობის და ნებისმიერი სხვა სახის უზრუნველყოფის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებამოსილების დელეგირება ასევე გულისხმობს უძრავი ან/და მოძრავი ქონების, ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთის **ბანკის** სასარგებლოდ უფლებრივად დასატვირთად მარეგისტრირებელი ორგანოსთვის (მათ შორის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო) მიმართვისა და შესაბამისი უზრუნველყოფის საშუალების რეგისტრაციის უფლებამოსილებასაც.

4. თუ წინამდებარე ბრძანებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **რწმუნებულის** მიერ **ბანკის** კორპორატიული სახელმძღვანელოთი განსაზღვრული ობიექტური მიზეზების გამო სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ხელმოწერის უფლება მიენიჭოს **რწმუნებულის** მოვალეობის შემსრულებელს.

5. **რწმუნებული** უფლებამოსილია წინამდებარე ბრძანებით მასზე დელეგირებული ხელმოწერის უფლებამოსილება სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირ(ებ)ს.

6. წინამდებარე ბრძანების ხელმოწერამდე **რწმუნებულის** მიერ **ბანკის** სახელით გაფორმებული ის ხელშეკრულებები და სხვა დოკუმენტები, რომელზე ხელმოწერის უფლებამოსილება **რწმუნებულს** მიენიჭა წინამდებარე ბრძანების საფუძველზე, ჩაითვალოს მოწონებულად და ძალაში მყოფად **ბანკის** მიერ მათ გაუქმებამდე.

7. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, **ბანკის** მიერ გაცემული ბრძანებები/მინდობილობები, რომელთა საფუძველზე **ბანკის** თანამშრომელზე ან სხვა უფლებამოსილ პირ(ებ)ზე დელეგირებულია იგივე ან ნაწილობრივ იგივე უფლებამოსილებანი, ძალაში რჩება და მოქმედებს წინამდებარე ბრძანებასთან ერთად. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე სხვა ბრძანება ან/და მინდობილობა პირდაპირ ეწინააღმდეგება წინამდებარე ბრძანებას, ან მინიჭებული უფლება-მოვალეობების შინაარსის გათვალისწინებით, ორივე ან ყველა მათგანის მოქმედება არის შეუძლებელი ან/და ორაზროვანი, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე ბრძანების შესაბამის ნორმას.

გიორგი კალანდარიშვილი

გენერალური დირექტორი